ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N4

სტავროს მაკრისი - *„კონკურენციის სამართალი, როგორც სისტემატური საბაზრო ანალიზის პრაქტიკაში დანერგვის ფორმა”*

2025 წლის 15 დეკემბერი, 17:00 –18:30 (ონლაინ რეჟიმში)

მოწვეული ექსპერტის შესახებ

სტავროს მაკრისი - ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის კონკურენციის სამართლის ლექტორი. მისი კვლევის ძირითადი საგანია კონკურენციის სამართლის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ღირებულებების ურთიერთკავშირი თანამედროვე ციფრულ ეპოქაში. მოპოვებული აქვს კონკურენციის სამართლის ახალგაზრდა მეცნიერთათვის განკუთვნილი არაერთი საერთაშორისო ჯილდო. არის რამდენიმე წამყვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის თანარედაქტორი. გარდა აკადემიური საქმიანობისა აქვს კონკურენციის სამართლის მიმართულებით საკონსულტაციო გამოცდილება საბერძნეთის კონკურენციის კომისიაში.

ვებინარის შესახებ

კონკურენციის სამართლებრივი ნორმები, როგორც წესი, ზოგადი და ბუნდოვანია. ამას დარგის სისუსტედ მიიჩნევენ. თუმცა, კონკურენციის სამართლის ნორმების ამ თვისების გამოა, რომ მათ დინამიკურ საბაზრო ცვლილებებთან შესანიშნავი ადაპტაციის უნარი გააჩნიათ და შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაში ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დანერგვას ადეკვატურად უწყობენ ხელს. ნორმების ზოგადი ხასიათი მათი ფართოდ ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ეს ინტერპრეტაციები შესაძლოა შეიცვალოს, თუ ამას ახალი საბაზრო ან/და სოციალური გარემო მოითხოვს. ვებინარი სწორედ ამ საკითხის გაანალიზებას დაეთმობა. ახსნილი იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა, როდესაც ერთი მხრივ, კონკურენციის სამართალმა საბაზრო ცვლილებებს სწრაფად უნდა აუწყოს ფეხი, ხოლო მეორე მხრივ, ინტერპრეტაციის მსგავსი მოქნილობა არ უნდა გახდეს დარგის სუბიექტური პოლიტიკური ნებისადმი დაქვემდებარების საფუძელი.

ვებინარზე დასწრებისთვის საჭიროა რეგისტრაცია
https://forms.gle/QWibC4fjcUSrF5Fz9

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/